

# ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის შემცველი ჰესები - შეხვედრა ქუთაისში (ვიდეო)

[kutaipost.ge/video/article/8258-ekologiuri-katastrofis-saftrtkhis-shemcveli-hesebi-shekhvedra-quthaisshi-video](https://kutaipost.ge/video/article/8258-ekologiuri-katastrofis-saftrtkhis-shemcveli-hesebi-shekhvedra-quthaisshi-video)

ვიდეო

ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის შემცველი ჰესები - შეხვედრა ქუთაისში (ვიდეო)

**ქუთაისი 24**  
ინფორმაცია, რომელსაც შეგიძლია ენდო

11:37 / 07.07.2017

ქუთაისში, მდინარე რიონზე და ზემო სვანეთში დაგეგმილი ჰესების მშენებლობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილ საფრთხეებზე ისაუბრეს.

"მწვანე ალტერნატივისა" და "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის" წარმომადგენლები, რომლებიც ნამახვანჰესისა და ნენსკრაჰესის პროექტს დეტალურად სწავლობენ, მიიჩნევენ, რომ მსგავსი სიმძლავრის ენერგობიექტები საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და ეკოსისტემას.

მათი თქმით, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ალტერნატიული რესურსების მოძიებაზე და რისკის ქვეშ არ დააყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.